**დამტკიცებულია სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო**
**უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2020 წლის**
**23 სექტემბრის №24/2 დადგენილებით**

**თსსუ-ის აკადემიური საბჭოს 2012 წლის 07 მაისის №24/5 დადგენილებით**
**დამტკიცებული „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტის დოქტორანტურის შესახებ**
**დებულებაში“ ცვლილების შეტანის თაობაზე**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე:

**მუხლი 1.** შეტანილ იქნეს ცვლილება თსსუ-ის აკადემიური საბჭოს 2012 წლის 07 მაისის №24/5 დადგენილებით დამტკიცებული „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტის დოქტორანტურის შესახებ დებულებაში“ და დებულების **მე-4 მუხლის:**

**ა) მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„ბ) გამოცდას - სპეციალობაში (გამოცდის ფორმა ტესტური) და უცხოურ ენაში (გამოცდის ფორმა ტესტური და გასაუბრება).“.

**ბ) $4^1$ პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის $4^2$-$4^5$ პუნქტები:**

„$4^2$. თსსუ-ს დოქტორანტურაში მიღების მიზნით, ამ მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული:
ა) გამოცდის მაქსიმალური შეფასებაა:
ა.ა) სპეციალობაში - 100 ქულა;
ა.ბ) უცხოურ ენაში - 100 ქულა, აქედან ტესტური კომპონენტი - 90 ქულა; გასაუბრება - 10 ქულა.
ბ) საგამოცდო შეფასება დადებითია, თუ კანდიდატის მიერ მიღებული იქნება:
ბ.ა) სპეციალობაში - 60 ქულა და მეტი;
ბ.ბ) უცხოურ ენაში - 60 ქულა და მეტი.
$4^3$. ამ მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული უცხოური ენის გამოცდიდან თავისუფლდება და ენიჭება უცხოური ენის გამოცდისთვის დადგენილი მაქსიმალური შეფასება (100 ქულა) დოქტორანტურაში სწავლის მსურველი პირი, რომელიც გამოცდამდე თსსუ-ში წარმოადგენს ენების ფლობის საერთო ევროპული წესის (CEFR) შესაბამისად გაცემულ ინგლისური ენის ცოდნის შემდეგ სერთიფიკატს:
ა) TOEFL iBT - მინიმალური ზღვარი - 79 ქულა;
ბ) IELTS Academic - მინიმალური ზღვარი - 6.5;
გ) Cambridge English - მინიმალური ზღვარი - 176 ქულა (სერტიფიკატი გაცემული უნდა იყოს თსსუ-ში წარმოდგენის დროისთვის ბოლო 2 წლის განმავლობაში. იმ შემთხვევაში, თუ

სერტიფიკატში ქულა მითითებული არ არის, მაშინ დოქტორანტურაში ჩარიცხვის მსურველმა უნდა წარმოადგინოს სერტიფიკატი Cambridge English: Advanced (CAE), ასევე, გაცემული თსსუ-ში წარმოდგენის დროისთვის ბოლო 2 წლის განმავლობაში.

4[4]. თსსუ-ის დოქტორანტურაში ირიცხება კანდიდატი, რომელიც თითოეულ გამოცდაზე გადალახავს ამ მუხლის 42 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით დადგენილ ზღვარს და რომლის მიერ მიღებული საგამოცდო ქულათა ჯამი იქნება უფრო მაღალი.

4[5]. კანდიდატებს შორის გამოცდების შეჯამებულ ქულათა თანაბარი ოდენობის შემთხვევაში, თსსუ-ს დოქტორანტურაში პირის ჩარიცხვაზე გადაწყვეტილება მიიღება სპეციალობაში გასაუბრების შედეგად, რომელსაც ატარებს ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული საგამოცდო კომისია.“.

**მუხლი 2.** დადგენილება ამოქმედდეს დამტკიცებისთანავე.